

2013

შპს „აუდიტ-ექსტრა“



AUDIT - EXTRA

AUDIT-EXTRA LTD

591-00-66-55

242734136

AUDIT-EXTRA@MAIL.RU

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის რომელიც დასრულდა
2013 წლის 31 დეკემბრს

შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს
2014 წლის 8 აპრილის
აუდიტორული დასკვნა №10/15-1

სარჩევი:

- ზოგადი ნაწილი ----- გვ 3;
- მმართველობის პასუხისმგებლობა ----- გვ 3;
- აუდიტორის პასუხისმგებლობა ----- გვ 4;
- ფინანსური ანგარიშგება ----- გვ 4-5;
- 2013 წლის ბიუჯეტის ცვლილებები ----- გვ 5-8;
- ბიუჯეტის შემოსულობები ----- გვ 8-9;
- ბიუჯეტის ხარჯები ----- გვ 9-10;
- დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- გვ 11;
- დასკვნა სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე ----- გვ 11;
- სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი ----- გვ 11;

შპს „აუდიტ-ექსტრა“



AUDIT-EXTRA LTD

593-104-100

242734136

AUDIT-EXTRA@MAIL.RU

№10/15-1

8 აპრილი 2014 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

მმართველობას

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს დირექტორს ლევან ზარქუასა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ს.კ. 242739248) თავმჯდომარეს დავით ბელქანიას შორის 2013 წლის 6 მარტს დადებული ხელშეკრულება №26-ის საფუძველზე აუდიტორმა ოლეგ ზარქუამ (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატი №5/538 ზოგად აუდიტში) აუდიტორულ ჯგუფთან ერთად მოვახდინეთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტირება, იგი მოიცავდა ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლების, ხარჯების ანგარიშს და დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს.

მმართველობის პასუხისმგებლობა

მმართველობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ობიექტურ წარდგენაზე, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის შემუშავებას, დანერგვას და უზრუნველყოფას, რომელიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობას, თაღლითობიდან თუ შეცდომიდან გამომდინარე; შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და დანერგვას, და გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი სააღრიცხვო გამოთვლების განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა მდგომარეობს ჩვენს მიერ აუდიტირებულ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრების გამოთქმაში. ჩვენ განვახორციელეთ აუდიტი, აუდიტის ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ ჩვენგან შესაბამისობას ეთიკურ მოთხოვნებთან, აუდიტის დაგეგმვას და განხორციელებას, წინამდებარე ანგარიშგებაში აღსანიშნავი უზუსტობების არარსებობის სარწმუნო დადასტურების მიზნით.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების და ინფორმაციის აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. პროცედურის შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის მოსაზრებაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების აღსანიშნავი უზუსტობის რისკის შეფასებისას, თაღლითობის თუ შეცდომის მიზეზით, აღნიშნული რისკების შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და ობიექტური წარდგენის შიდა კონტროლს, გარემოებების შესაფერისი აუდიტირების პროცედურების შემუშავების მიზნით, თუმცა, არა შიდა კონტროლთან დაკავშირებით მოსაზრების გამოხატვის მიზნით. აუდიტი ასევე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობის შეფასებას და მენეჯმენტის მიერ შესრულებული სააღრიცხვო გამოთვლების მიზანშეწონილობას, ისევე როგორც, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება საკმარისი და შესაბამისია აუდიტის საფუძვლის უზრუნველსაყოფად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის საანგარიშო პერიოდზე

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ლი, 2-ე და მე-3 პუნქტების შესაბამისად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დატკიცებულ იქნა 2012 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში დამტკიცდა 4058.5 ათ.ლარის ოდენობით. მათ შორის: ადგილობრივი გადასახადების გეგმა განისაზღვრა 1506.0 ათ.ლარით, აქედან საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის 1340 ათ.ლარით, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის 3 ათ.ლარი, სასოფლო სამეურნეო მიწაზე გადასახადის 63.0 ათ.ლარი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის 100.0 ათ.ლარი. სასოფლო სამეურნეო მიწაზე გადასახადის 63 ათ.ლარი. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 100.0 ათ.ლარი. გრანტების გეგმა 2251.4 ათ.ლარის ოდენობით, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 2081.4 ათ.ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 170 ათ.ლარი, სხვა შემოსავლები 201.1 ათ.ლარი.

2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა დამტკიცდა 4085.5 ათ.ლარის ოდენობით. მათ შორის:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 1311.5 ათ.ლარით.
აქედან:
 - ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 309 ათ.ლარი
 - ბ) მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები 966.5 ათ.ლარი.
 - გ) სარეზერვო ფონდი 30 ათ.ლარი
 - დ) არქივის ხარჯები 6 ათ.ლარი
2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 304 ათ.ლარი. აქედან
 - ა) სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხარჯები - 214 ათასი ლარი.
 - ბ) თავდაცვის ღონისძიებები - 90 ათ.ლარი.
3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 807 ათ.ლარი. აქედან
 - ა) დასუფთავების ღონისძიებები 420 ათ. ლარი.
 - ბ) გარე განათების ხარჯები 70 ათ.ლარი.
 - გ) წინა წლებში დაუსრულებელი ინფრასტრუქტურის ობიექტები 317 ათ.ლარი
4. საგანმათლებლო ღონისძიებები 490 ათ.ლარი.
5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 735.0 ათ.ლარი
6. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 411 ათ.ლარი.

- მუხლობრივად დამტკიცებული ბიუჯეტით ხარჯები განაწილდა:
- ა) შრომის ანაზღაურების 119 ათ.ლარი.
 - ბ) საქონლისა და მომსახურების 475.1 ათ.ლარი;
 - გ) პროცენტი 7 ათ.ლარი;
 - დ) სუფსიდიები 1713 ათ.ლარი;
 - ე) სოციალური უზრუნველყოფა 308 ათ.ლარი;
 - ვ) სხვა ხარჯები 30 ათ.ლარი
 - ზ) არაფინანსური აქტივების ცვლილება 326.4 ათ.ლარი;

2013 წლის ბიუჯეტის ცვლილებები

10 მლნ 10860,00

2013 წლის განმავლობაში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში კერძოდ:

- I. 2013 წლის 27 თებერვლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №4 დადგენილებით ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 4282.5 ათ.ლარით.
- II. მუნიციპალური საკრებულოს 2013 წლის 28 მარტის №9 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 4400.0 ათ.ლარით. ე.ი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 40 ათ.ლარით. გაზრდა გამოწვეულ იქნა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში, კერძოდ "ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე" მუხლით დამატებითი შემოსავლების მოზილიზირებით. ხარჯვითი ნაწილი გეგმა განისაზღვრა 4406 ათ.ლარით (6 ათ.ლარი ნაშთის გათვალისწინებით) აღნიშნული თანხა 40 ათ.ლარი მიმართულ იქნა "სკოლამდელი განათლების დაფინანსების" მუხლში.
- III. წალენჯიხის მუნიციპალური საკრებულოს 2013 წლის 15 აპრილის №15 დადგენილებით ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა გაიზარდა 75.5 ათ.ლარით და შეადგინა 4475.5 ათ.ლარი. გაზრდა გამოწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტისათვის 75.5 ათ.ლარის გამოყოფამ. აქედან გამომდინარე გაზრდილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების "გრანტების" მუხლი 75.5 ათ.ლარით. შესაბამისად გაიზარდა ხარჯვითი ნაწილი 75.5 ათ.ლარით და შეადგინა 4481.5 ათ.ლარი (ნაშთის 6 ათ.ლარის გათვალისწინებით). მუხლობრივად აღნიშნული თანხა აისახა "ქ.წალენჯიხის ცენტრის რეკონსტრუქციისა და სხვა სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებაში".

IV. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის №321 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" წალენჯიხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 301.1 ათ.ლარი. შესაბამისი ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შევიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 მაისის №20 დადგენილებით. გაზრდილ იქნა ბიუჯეტის შემოსულობების "გრანტის" მუხლი 301.1 ათ.ლარით და მთლიანობაში ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი განისაზღვრა 4475.5 ათ.ლარით. გადასახდელებმა (ხარჯებმა) საწყის ნაშთის 6 ათ.ლარის გათვალისწინებით შედგინა 4481.5 ათ.ლარი. თანხა 301.1 ათ.ლარი ასახულ იქნა "სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების მუხლის" სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაწილში.ამავე დროს განხორციელდა ასიგნებების გადატანა "სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების მუხლის" საკუთარი სახსრების ნაწილიდან ქ.წალენჯიხის ცენტრალური პარკისა და მიდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მუხლში 30 ათ.ლარი. დასუფთავების ღონისძიებების მუხლში 110 ათ.ლარი, სპორტული ღონისძიებების მუხლში 61.1 ათ.ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსების მუხლში 100.0 ათ.ლარი.

V. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 28 ივნისის №24 დადგენილებით. ცვლილება გამოწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით მიზნობრივობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად თანხის 860.6 ათ.ლარის გამოყოფამ, რომელიც აისახა ბიუჯეტის შემოსულობების "გრანტების" მუხლში. შესაბამისად ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი განისაზღვრა 4637.2 ათ.ლარით. მუნიციპალიტეტის გადასახდელების (ხარჯების) ნაწილი გაიზარდა 860.6 ათ.ლარით და შეადგინა 5643.2 ათ.ლარი (საწყის ნაშთის 6 ათ.ლარის გათვალისწინებით). აღნიშნული თანხა ასახულ იქნა "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მუხლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერების ნაწილში.

VI. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №693 და 2 აგვისტოს №1016 დადგენილებებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოყოფილ იქნა 1658.4 ათ.ლარი. ასევე "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 აგვისტოს №1085 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების თანახმად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 2559.9 ათ.ლარი. მათ შორის: ქ.წალენჯიხის თამარ მეფის, მაიაკოვსკის, კოსტავას, სალიას, მეუნარგის, ფიროსმანის, შეროზიას ქუჩებისა და გ.კალანდიას სახელობის ცენტრალურ მოედანზე ახალი ასფალტო ბეტონის საფარის მოსაწყობად 1498.4 ათ.ლარი, ქ.ჯვარში ჯვარი-ჯვარზენის დამაკავშირებელი გზის კაპიტალურ შეკეთება 596.5 ათ.ლარი, ქ.წალენჯიხაში მდ.ჭანისწყალზე ხიდის მშენებლობა 414.9 ათ.ლარი. აღნიშნული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილ იქნა 50.1 ათ.ლარი, ნაცვალად 75.5 ათ.ლარისა.

VII. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №1099 წლის განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოყოფილ იქნა 52 ათ.ლარი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახდის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემთხვევა სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის

საქრებულოს 2013 წლის 27 აგვისტოს №26 დადგენილებით და ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 9832.0 ათ.ლარით. საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა 3888.6 ათ.ლარი აისახა ბიუჯეტის შემოსულობების "გრანტის" მუხლში. გადასახდელები (ხარჯები) საწყის ნაშთის 6 ათ.ლარის გათვალისწინებით განისაზღვრა 9838 ათ.ლარით. 1648.4 ათ.ლარი ასახულ იქნა "სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების მუხლის" სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაწილში 2509.8 ათ.ლარი აისახა გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია მათი მოვლა შენახვის "მუხლში. ხოლო 52.0 ათ.ლარი "სკოლამდელი განათლების დაფინანსების" მუხლში.

VIII. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საქრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №30 დადგენილებით გაზრდილ იქნა მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი 542 ათ.ლარით და შეადგინა 10374 ათ.ლარი. გაზრდის საფუძველი გახდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის №1234 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი 542 ათ.ლარი. ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯი) განისაზღვრა 1038.0 ათ.ლარით საწყის ნაშთის 6 ათ.ლარის გათვალისწინებით. ცვლილების თანხა 542 ათ.ლარი ასახულ იქნა "სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების მუხლის" სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაწილში. ცვლილება მუნიციპალიტეტის 2013 წლის.

IX. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საქრებულოს 2013 წლის 30 ოქტომბრის №32 დადგენილებით. რომლის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10560 ათ.ლარით. გაზრდა 180 ათ.ლარი გამოწვეულ იქნა შემოსულობების "ქონების გადასახადის მუხლში დამატებით შემოსული 180 ათ.ლარის საფუძველზე. შესაბამისად გაზრდილ იქნა გადასახდელების (ხარჯის) გეგმა და შეადგინა 10560 ათ.ლარი. ცვლილებები შეეხო შემდეგ მუხლებს.

ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მუხლი გაიზარდა 40 ათ.ლარით.

ბ) დასუფთავების ღონისძიებების მუხლი გაიზარდა 50 ათ.ლარით.

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის "საქონელი და მომსახურების" მუხლში გაიზარდა 40 ათ.ლარით.

დ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსებია გაიზარდა 50 ათ.ლარით.

X. საბოლოო ცვლილება ბიუჯეტში შევიდა მუნიციპალიტეტის საქრებულოს 2013 წლის 13 დეკემბრის №36 დადგენილებით.

1. გაზრდილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის „ქონების გადასახადის“ მუხლი 204.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 2131.5 ათასი ლარით.

2. გაზრდილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის „სხვა შემოსავლების“ მუხლი 94.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 315.1 ათასი ლარით;

3. შემცირებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლი 145.0 ათასი ლარით და განისაზღვროს 35.0 ათასი ლარით.

4. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით გაზრდილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 153.0 ათასი ლარით და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 10713.0 ათასი ლარით;

გაზრდილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის „გადასახდელების“ ნაწილი 153.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 10713.0 ათასი ლარით.

მუხლობრივად საბოლოო დამტკიცებული ბიუჯეტით ხარჯები განაწილდა

ა) შრომის ანაზღაურების 1506.5 ათ.ლარი (წლის განმავლობაში გაზრდილია 307.5 ათ.ლარით)

ბ) საქონელისა და მომსახურების 603.1 ათ.ლარი(გაზრდილია 128 ათ.ლარით)

გ) პროცენტი 7 ათ.ლარი

დ) სუფსიდიები 1889 ათ.ლარი (გაიზარდა 176 ათ.ლარით)

ე) სოციალური უზრუნველყოფა 329.8 ათ.ლარი(გაიზარდა 21.8ათ.ლარით)

ვ) სხვა ხარჯები 2571.6 ათ.ლარი (გაიზარდა 2541.6 ათ.ლარით.) მათ შორის 2501.5 ათ.ლარი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი. საკუთარი შემოსავლებიდან 70.1 ათ.ლარი.

ზ) არაფინანსური აქტივების ცვლილებაზე 3473 ათ.ლარი.

საგადასახადო წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ყელა ცვლილება გამოქვეყნებულია საგადასახადო მაცნეში.

ბიუჯეტის შემოსულობები

2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულდა 98.7 %-ით. (გეგმა 10,709.8 ათ.ი ლარი. შესრულება 10579.9 ათ.ლარი). მათ შორის შემოსავლების გეგმა შესრულდა 98.6 %-ით (გეგმა 10674.8.0ათ ლარს ფაქტიური 10523.7ათ.ლარი). შემოსავლებში ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5974 ათ.ლარს, ფაქტიურად მიღებულია 5852.1 ათ.ლარი ანუ 121.9 ათ.ლარით ნაკლები. საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენდა 4735.8 ათ.ლარს, ფაქტიურად შეადგინა 4671.7 ათ.ლარი ანუ დაგეგმილზე 64.1 ათ.ლარით ნაკლები. საკუთარ შემოსავლებში გადასახადების გეგმა შესრულდა 98 %-ით (გეგმა 2126.9 ათ.ლარი,შესრულება 2085.5 ათ.ლარი). აქედან საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადების გეგმის შესრულებას დააკლდა 101.8 ათ.ლარი (გეგმა 1905.4 ათ.ლარი,ფაქტიურად 1803.6 ათ.ლარი)სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასადის გეგმის შესრულებაში გადაჭარბებაა 40.8 ათ.ლარი (გეგმა 28.5 ათ.ლარი, შესრულება 69.3 ათ.ლარი). ასევე გადაჭარბებაა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის გეგმის შესრულებაში 26.6 ათ.ლარი (გეგმა 190.0 ათ.ლარი, შესრულება 213.6 ათ.ლარი)

მისაღები გრანტების გეგმა შესრულდა 98.5 %-ით (გეგმით 8225.4 ათ.ლარი,ფაქტიურად 8103.5 ათ.ლარი). აქედან 100 %-ით იქნა მიღებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი (2251.4 ათ.ლარი), გათანაბრებითი ტრანსფერი (2081.4 ათ.ლარი), მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (170 ათ.ლარი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მისაღები ტრანსფერი 860.6 ათ.ლარი. ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმა შესრულდა 98 %-ით (გეგმა 5974 ათ.ლარი. ფაქტიურად 5852.1 ათ.ლარი).

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 103.8 %-ით. (გეგმა 322.5 ათ.ლარი, შესრულება 334.8 ათ.ლარი). აქედან მისაღები პროცენტების გეგმა შესრულდა 132.5 %-ით, (გეგმა 20 ათ.ლარი, ფაქტიურად 26.5 ათ.ლარი), რენტის გეგმა 98.7 %-ით (გეგმა 188.4 ათ.ლარი, ფაქტიურად 185.9 ათ.ლარი). საქონელის მომსახურების და რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულდა 97 %-ით (გეგმა 47.1 ათ.ლარი,შესრულება 45.3 ათ.ლარი). შემოსავლების გეგმა მისაღები ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან 115 %-ით (გეგმა 67 ათ.ლარი, შესრულება 77.1 ათ.ლარი).

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილი იყო 35 ათ.ლარი,ფაქტიურად შეადგინა 56.2 ათ.ლარი ანუ 21.2 ათ.ლარით ნაკლები.

საკუთარი შემოსავლების გეგმის შესრულების ანალიზიდან ჩანს, რომ მიუხედავად წლის დასაწყისში დამტკიცებულ ბიუჯეტში მრავალჯერ შეტანილი ცვლილებებისა, მაინც სრულყოფილად ვერ აისახა ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არასრულყოფილად იყო შესწავლილი საკუთარი შემოსავლების ბაზა.

ბიუჯეტის ხარჯები

2013 წლის ხარჯების გეგმა შეადგენდა 10715.6 ათ.ლარს. ფაქტიურად გაწეულ იქნა 10013.8 ათ.ლარი ანუ დაგეგმილის 93.4 %. მუხლობრივად შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა-ფაქტიური 1548.5 ათ.ლარი). შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი მთლიან ფაქტიურ ხარჯში შეადგენს 15.4 %-ს. დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 14.4%.

საქონელი და მომსახურების ხარჯის გეგმა შესრულდა 98.7 %-ით (გეგმა 653.7 ათ.ლარი, ფაქტიური 645.5 ათ.ლარი). აქედან 100 % იქნა ხარჯების გეგმა შესრულებული შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაში (84.3 ათ.ლარი), მივლინებებში (10.4 ათ.ლარი) კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯებში (2.4 ათ.ლარი) წარმომადგენლობით ხარჯებში (2.3 ათ.ლარი) ტრანსპორტისა და ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯების (116.2 ათ.ლარი). ოფისის ხარჯების გეგმა შესრულდა 98.6 %-ით (გეგმა 209.5 ათ.ლარი, ფაქტიური 206.5 ათ.ლარი). სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების 97.7 %-ით გეგმა 231 ათ.ლარი, ფაქტიური 225.8 ათ.ლარი).

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შესრულდა 83.3%-ით (გეგმა 3640.4 ათ.ლარი, ფაქტიურად 3033.5 ათ.ლარი).

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დაფინანსებულ იქნა 99.4%-ით (გეგმა 1729.9 ათ.ლარი, ფაქტიურად 1719.7 ათ.ლარი). წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები მთლიანი ფაქტიური ხარჯების 17.18%-ია, მუხლობრივად 100 %-ით იქნა დაფინანსებული შრომის ანაზღაურების მუხლი (გეგმა-ფაქტიური 1241 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯის 12.4%-ია. საქონელი და მომსახურება 98.16 %-ით (გეგმა 444.2 ათ.ლარი, 436 ათ.ლარი). არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შესრულებულია 100 %-ით (გეგმა ფაქტიური 34.7 ათ.ლარი). მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი დაფინანსდა 100 %-ით (გეგმა ფაქტიური 403.8 ათ.ლარი), მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯი 99.37%-ით (გეგმა 1271.6 ათ.ლარი, ფაქტიური 1263.5 ათ.ლარი).

თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების გეგმა შესრულდა 100 %-ით (გეგმა-ფაქტიური 376.5 ათ.ლარი), რაც მთიანი ხარჯების 3.76 %-ია. შესაბამისად 100-100 %-ით იქნა დადინასებული ხარჯები მუხლობრივად, კერძოდ შრომის ანაზღაურება 307.5 ათ.ლარი, საქონელი და მომსახურება 69 ათ.ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა შესრულდა 89.79 %-ით (გეგმა 6788.7 ათ.ლარი, ფაქტიური 6095.1 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯების 60.87%-ია, მუხლობრივად 100 % შესრულდა საქონელი და მომსახურების (გეგმა ფაქტიური 119.3 ათ.ლარი) და სუფსიდიების (გეგმა-ფაქტიური 496 ათ.ლარი) ხარჯები. სხვა ხარჯების 95.74%-ით (გეგმა 2532.7 ათ.ლარი, ფაქტიური 2424.8 ათ.ლარი). არაფინანსური აქტივების ზრდის 83.92%-ით (გეგმა 3640.7 ათ.ლარი, ფაქტიურად 3055.0 ათ.ლარი). აქედან გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია მათი მოვლა შენახვის ხარჯების გეგმა შესრულდა 76.97%-ით (გეგმა 2507.0 ათ.ლარი, შესრულება 1929.6 ათ.ლარი), კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის 100%-ით

გეგმა შესრულება 633 ათ.ლარი), ასევე 100% დაფინანსდა საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობის (22.7 ათ.ლარი), გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპოზიციის (114.3 ათ.ლარი) დასუფთავების ღონისძიებების (496 ათ.ლარი), სასოფლო სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების (5 ათ.ლარი) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (28.3 ათ.ლარი) ხარჯები. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების (244.8 ათ.ლარი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხარჯი დაფინანსდა 99.04 %-ით (გეგმა 860.6 ათ.ლარი, ფაქტიურად 852.3 ათ.ლარი) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების 95.71-ით (გეგმა 2510 ათ.ლარი, ფაქტიურად 2402.1 ათ.ლარი). 100 % იქნა შესრულებული ქ.წალენჯიხის ცენტრალური პარკის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ხარჯი (244.8 ათ.ლარი).

განათლების ხარჯების გეგმა შესრულებულია 100%-ით (გეგმა, შესრულება 570.7 ათ.ლარი), რაც მთლიანი ხარჯების 5.7%-ია, შესაბამისად 100% დაფინანსდა ხარჯები მუხლობრივად, კერძოდ საქონელი და მომსახურება (2.9 ათ.ლარი) და სუფსიდიები (567.8 ათ.ლარი)

ასევე 100 % დაფინანსდა სპორტის განვითარების (გეგმა შესრულება 406.5 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯის 4.06%-ია და კულტურის განვითარების ხელშეწყობის (გეგმა შესრულება 381 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯის 3.81%-ია. ახალგაზრდული პროგრამების (გეგმა შესრულება 2.7 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯის 0.03%-ია და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის (გეგმა შესრულება 2.1 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯის 0.02 %-ია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაფინანსდა 100 %-ით (გეგმა შესრულება 440.5 ათ.ლარი) რაც მთლიანი ხარჯის 4.4 %-ია ხარჯები.

✦ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ერიცხება კრედიტორული დავალიანების სახით 561.4 ათ.ლარი ლარი. მათ შორის 276.2 ათ.ლარი შ.პ.ს "ჯეოქ" ქ.წალენჯიხაში მშვიდობის ქუჩაზე ხიდის მშენებლობა და "შ.პ.ს" ნიუ-ქონტრაქტშენის" 285.2 ათ.ლარი ქ.წალენჯიხის ცენტრისა და ცენტრალური ქუჩების მოასფალტება. ასევე უნდა იქნეს აღიარებული 25 ათ.ლარი შ.პ.ს "დაგის" დავალიანების თანხა. 2012 წელს წალენჯიხის ცენტრალური პარკის აღდგენა რეკონსტრუქციის სამუშაოების დარჩენილი თანხა, რომელიც არ იყო ასახული 2013 წლის ბიუჯეტში.

✦ რაც შეეხება დებიტორული დავალიანებას იგი დაფიქსირებული არ არის, თუმცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული ქონებიდან წარმქმნილია დავალიანებები. ასევე დებიტორულ დავალიანებად ფიქსირდება ი.მ. "ირაკლი აბულაძე"-ზე ზედმეტად ჩარიცხული თანხა 2013 წლის ოდენობით.

2013 წელს რაიონის გამგებლის №1-044 ბრძანებით 2013 წლის 27 თებერვალს შეიქმნა კომისია მუნიციპალიტეტზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით.

ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტს ერიცხება 8653,11 ათ.ლარის შენობა-ნაგებობები, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 519,8 ათ.ლარის, მანქანა მოწყობილობები, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები 672,412 ათ.ლარი. ინვენტარიზაციით დანაკლისი არ გამოვლენილა.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენს მიერ, დადგინდა, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარა და სამართლიანად ასახავს 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს.

ჩვენი მოსაზრებით, მუნიციპალიტეტის სამსახურში არსებული აღრიცხვა-ანგარიშგება ძირითადად იძლევა განხორციელებული ოპერაციების სრულფასოვანი ასახვის და ანალიზის საშუალებას. მისი საქმიანობის შედეგები და ფულადი სახსრების მიმოქცევა, დასრულებული წლისთვის შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების ეროვნულ სტანდარტებს. აქედან გამომდინარე ვიძლევი უპირობო აუდიტორულ დასკვნას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე

ბიუჯეტის დაგეგმვისას უგულებელყოფილიქნა საქართველოს კანონი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ რომლის 14. მუხლის მიხედვით ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას. დაზღვევისთვის თანხების გამოყოფა სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სახსრებიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა ePLAN სისტემაში დაგვინებით დარეგისტრირდა 2013 წლის 7 თებერვალს, რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო 2012 წლის 20 ნოემბრამდე. რის შემდეგაც ორგანიზაციას შეეძლო დაეწყო მომდევნო წელს აუდილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება. (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №20).

ასევე ePLAN სისტემაში ატვირთული გეგმა არ შეესაბამება შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენილ ადგილობრივ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს.

დადებული ხელშეკრულებები 10 დღის ვადაში უნდა დარეგისტრირებულიყო ელ.სისტემაში CMR-ში, ასევე შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იყო CMR-ში დაემატებინა ინფორმაცია შესაბამისი ხელშეკრულების ღირებულების ყოველი ფაქტობრივი გადახდის შესახებ, რაც უმეტეს შემთხვევებში არ ხორციელდებოდა.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილია პირად საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის ლიმიტი, ხარჯვა განხორციელებულია ლიმიტის ფარგლებში. ამასთან მოსამსახურებზე რომლებიც იყენებენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად პირად საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებს, მათზე საწვავის გაცემა არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულ პირებზე საწვავის მიწოდება იბეგრება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს
დირექტორი:

/ლ. ზარქუა/

საგადახდო დავალება
#:

0

თარიღი: 2013 წლის 30 12, ორშაბათი

ირაკლი აბულაძე

ანგარიში (დებეტი): GE73PC0173600100029216

გადახდელის ბანკი:

სს "პროკრედიტბანკი"

ბანკის კოდი: MIBGGE22

გადასახადის
გადახდელის
დასახელება:

საიდენტიფიკაციო
კოდი:

საბიუჯეტო
შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საიდენტიფიკაციო
კოდი:

242739248

ანგარიში (კრედიტი): GE22LB0120179460264000

მიმღების ბანკი:

სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადახდის
დანიშნულება:

შეცდომით ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნება

ბელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

260.00

თანხა სიტყვით

ორას სამოცი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის
თარიღი: 30.12.2013

ბელმოწერა:



ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

საგადახდო დავალება
#:

1

თარიღი: 2014 წლის 15 04, სამშაბათი

გადამხდელის
დასახელება:

ირაკლი აბულაძე

ანგარიში (დებიტი): GE73PC0173600100029216

გადამხდელის ბანკი:

სს "პროკრედიტბანკი"

ბანკის კოდი: MIBGGE22

გადასახადის
გადამხდელის
დასახელება:

საიდენტიფიკაციო
კოდი:

საბიუჯეტო
შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საიდენტიფიკაციო
კოდი:

242739248

ანგარიში (კრედიტი): GE22LB0120179460264000

მიმღების ბანკი:

სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადახდის
დანიშნულება:

ზედმეტად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნება

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

2013.00

თანხა სიტყვიერად

ორი ათას ცამეტი GEL და
00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის
თარიღი: 15.04.2014

ხელმოწერა:

